საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 652 2018 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

„C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/04/2015, 470000000.10.003.018554) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ 21-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 21. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 6,407.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი

		ლარი)
1	მოსახლეობის სკრინინგული კვლევებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (მათ შორის, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“, „ა.ა.ა.ბ“ და „ა.ა.ა.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურება)	1,663.0
2	დიაგნოსტიკის კომპონენტი	4,006.2
3	მკურნალობის კომპონენტი	341.3
4	მედიკამენტების ლოგისტიკის კომპონენტი	396.5
	სულ:	**6,407.0**

.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 28 დეკემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**